ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6074266

ნომერი: AR1913982

თარიღი : 22.07.2022

გაცემის თარიღი : 09.08.2022

გაცნობის თარიღი : 09.08.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 61 , (ნაკვ 5/34);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გეგელაშვილი პ/ნ 59001036692
- ზ.მუზაშვილის ქუჩა N5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 22 ივლისს №AR1913982 განცხადებით მომართა გიორგი გეგელაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 13

აპრილის №4927946 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებით შეთანხმდა №01.18.06.005.034 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობა/კომპლექსის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4947050 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 12 მაისიდან 2024 წლის 12 მაისის ჩათვლით.
სამსახურის 2020 წლის 3 ივნისის №4971535 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4947050 ბრძანებაში და ჩანაცვლდა კალენდარული გრაფიკი.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ სურს დამხმარე ფართობად 632.0 კვ.მ-ის ნაცვლად 589.7 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 828.7 კვ.მ-ის ნაცვლად 805.1 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 38589.7 კვ.მ-ის ნაცვლად 38523.8 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმაზე ფართობების გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს: 589.7 კვ.მ. კომერციულ ფართობად: 805.1 კვ.მ., საერთო ფართობად: 38523.8 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებით შეთანხმებული -5.00, -2.00, 0.00, +4.30, +40.60 და +43.90 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.